პრემონღოლური და პოსტმონღოლური პერიოდის მოჭიქული ჭურჭელი ოტრარის ნამოსახლარიდან

თათია მამალაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

არქეოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ახვლედიანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2025

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია მამალაშვილი

19.06.2025

მადლობა

ნაშრომის შექმნაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, პროფესორ დიმიტრი ახვლედიანს, ასევე კემბრიჯის უნივერსიტეტის კინგს კოლეჯის დოქტორს ქეით კემპბელს და ჩემს კოლეგებს: შალვა ბაბუციძეს, მარეხი ჩარქსელიანს და დავით ნასყიდაშვილს.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ოტრარის არქეოლოგიური ძეგლის კერამიკული მასალის ანალიზს, რომელსაც საფუძვლად უდევს 2021–2025 წლებში ოტრარში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს, ორ სხვადასხვა კონტექსტში, OTR16-სა და OTR6-ში მოპოვებული მოჭიქული კერამიკული ნაწარმის ანალიზი. მოჭიქული კერამიკა წარმოადგენს ცენტრალური აზიის მატერიალური კულტურის ღირებულ წყაროს, რომელიც ასახავს როგორც ტექნოლოგიურ განვითარებას, ისე სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს. კვლევის მთავარი ამოცანაა კერამიკული მასალის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მათი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა, ასევე მცდელობა იმპორტული მასალის იდენტიფიცირებისა, ანალოგების მოძიებითა და მათი შესაბამისობით. ნაშრომი იყოფა ორ ძირითად ნაწილად: პირველ ნაწილში განხილულია ოტრარის ძეგლის გეოგრაფიული მდებარეობა, არქეოლოგიური შესწავლის ისტორია და ისტორიულ-ქრონოლოგიური კონტექსტი. მეორე ნაწილი ფოკუსირებულია კერამიკული მასალის უშუალო ანალიზზე, რომელიც დაყოფილია ტიპებად ფუნქციური ნიშნების მიხედვით. გამოყენებულია რაოდენობრივი, თვისობრივი და შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდები, რაც უზრუნველყოფს არტეფაქტების ყოვლისმომცველ ანალიზს. კვლევის ფარგლებში, ასევე ხდება არქეოლოგიური მასალის შედარება ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ანალოგიურ ნიმუშებთან. კვლევა ორი ისტორიული ეტაპის - პრემონღოლური და პოსტმონღოლური პერიოდის შედარებით ანალიზს ეფუძნება, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს სტილისტური, ტექნოლოგიური და ფუნქციური ტრანსფორმაციები. ნაშრომი წარმოადგენს პირველ სისტემატურ მცდელობას ოტრარში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ქრონოლოგიური, ტექნოლოგიური და სტილისტური ანალიზისა ორ განსხვავებულ არქეოლოგიურ ფენაში.

Abstract

This thesis focuses on the analysis of glazed ceramic material from the archaeological site of Otrar, based on artifacts recovered during excavations conducted between 2021 and 2025 in two distinct contexts: OTR16 and OTR6. Glazed ceramics represent a valuable component of the material culture of Central Asia, reflecting not only technological advancements but also broader social and economic processes. The primary objective of this research is the typological classification of the ceramic material, the identification of its chronological and cultural affiliations, and the attempt to distinguish imported wares through the study of parallels and comparative analysis. The thesis is divided into two main parts: The first section discusses the geographical location of the Otrar site, the history of archaeological research conducted there, and the broader historical and chronological context. The second section focuses on the direct analysis of the ceramic material, classified into types based on functional characteristics. The study applies quantitative, qualitative, and comparative-typological methods to ensure a comprehensive interpretation of the artifacts. Additionally, the archaeological material is compared with analogous examples from Central Asia and the Near East. The research is grounded in a comparative analysis of two major historical periods — the pre-Mongol and post-Mongol eras — enabling the identification of stylistic, technological, and functional transformations. This thesis represents the first systematic attempt to analyze the chronology, technology, and stylistic features of glazed ceramics found at Otrar across two stratigraphically distinct archaeological contexts.